





ცებს და სხვა შემძლე პირობებს, რომელთაც მსურვეთი საგნა, ნუ თუ ხუთ-ხუთი მანეთი ან ძველი დანგრეული სახლი ვერ გამოიმეტეს ამ კარგის საქმისთვის.

ხეალ ესენი, ყოველის კარგის საქმისათვის და ხალხისათვის სრულდებით გამოუდგარნი, უთუოდ გამოვლენ მოედანზედ და დაიწყებენ ბაქობას, ჩვენ ეს ექვნი და ჩვენ ესაო. ჩვენით უდგია ზურისას სული, თორემ ვინ იცის რა დამართებაო.

ბი, სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, აი ნიშნები ქართველი ხალხისა! მოდით და გულგრილად შევყურეთ ამათ, უნდა ტკბებოდეთ კიდევაც მაგათი კეთილი-მოქმედებთა!

ნაგარეველი.

„დროის ხმა“ კორესპონდენცია

მთავისი 22 აგვისტოს.

შსხო ტომის კაცებისაგან, რომელნიც ჩვენში არიან, ყველას ხშირად გავიგონია მეტის მეტი უსაფუძვლო აზრი, ვითომც ჩვენი ქართული ენა და ლიტერატურა ძრიელ ღარიბი იყოს და არ შეეძლოს მას გამოთქმა მაღალი აზრებისა. მაგრამ, როგორც ზემოთ ნათქვამია, ეს აზრი უსაფუძვლოა. ეს უსაფუძვლოება მოდის, იმისთვის რომ იმათ ჩვენი ლიტერატურა არ შეუწყალებიათ. დიდის გასაჭირით იქნება მთელს მერობაში მოიძებნოს ორი სამი კაცი, რომელთაც იცოდენ ჩვენი ენა კარგათა მათ, როგორც ჩვენი ენის რამოდენიმე საფუძვლიანათ მაცოდნეთ, არ გამოუთქვამთ ამნაირი ხეპრული აზრი. უკანასკნელი მხოლოდ უმეტესობისაგან გვევსის, — იმ უმეტესობისაგან, რომელნიც ეხლანდელ მერობის მსხვილ სახელმწიფოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ამისათვის წერილი ხალხების ენა, მათი ჩვეულება, შეხედულება არაფერ ინტერესს წარმოადგენს მათთვის და შეუწყალებლნი რჩებიან. ამ უმეტესობას თავის-დღეში გულით არაფერი უძებნია. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი პედაგოგები, რომელთაც ქართული ენა არ იციან. ისინი ხანდისხან შეხედებიან თავის შაგირდებს, კითხვენ, თუ ესა და ეს სიტყვა ქართულათ როგორ არისო, და, როდესაც უკანასკნელნი ვერ უპასუხებენ, გამოყავთ ამ ნაირი აზრი: ქართული ენა ღარიბი არისო. ესადა, როგორი საფუძვლით არის ეს ნათქვამი. აბა შაგირდებმა რა პასუხი უნდა მისცენ მათ, როდესაც ქართული არ იციან და არა თუ მაღალი აზრები, დაბალი აზრების გამოხატვებილი სიტყვები არ გავიგებთ.

— ეს სწორეთ ლოლიკის ბოროტ-მოხმარება არის. ქართული ენის არ მცოდნე და მერე ჩემს უცოდინარებაზედ ქართული ენის სიღარიბეს აფუძნებ. ბარდა ამისა, კიდევ, რამოდენიმე სიტყვა, მოძებნილი რომელიმე ენაზე, იმისთანა, რომელნიც სხვა ენაზე იბრუნებიან, არ გვიმტკიცებს ენის სიღარიბეს და იმას, რომ ყურადღება არ მივაქციოთ ენას. მაშინ ყველა რომანული ენები არაფერი არ იქნებოდენ, ამისათვის რომ უმთავრესი საფუძველი მათი ლათინური ენაა. კიდევ აიღეთ, თუ გინდ, რუსული და მიხელსონის ლექსიკონი, აბა ნახეთ, რამდენს სიტყვებს შეხედებით იქ გადმოღებულს სხვა ენებისა-

გან, — სიტყვებს, რომელნიც მიუცილებელი საჭიროა უმაღლესი აზრების გამოხატვლათ. მისაც სურს ნამდვილი აზრი წარმოატყვას ჩვენს ენაზე, იმას შეუძლია გვეცნას ძველს ჩვენს მწერლობას, მაგალითად რუსთველს, შავთელს და სხვებს, რომელთაც თავის აზრების გამოხატვლათ სიტყვის მოუხერხებლობას ჩვენ ვერ შევსწამებთ. ძველი ლიტერატურის განხილვა ნათლთ დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენი ენის სიმდიდრეს, ჯერ კიდევ ძველათ, უზენაესს ხარისხამდის მიუწევია. აქედან კი როგორც მიუცილებელი დასკვნა, უნდა გამოვიყვანოთ ის აზრი, რომ ლიტერატურა ჩვენი მდიდარი ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში ენის სიმდიდრე ვერ მიაწევს თავის დღეში უზენაეს ხარისხამდის. ის გარემოება, რომ ჩვენს ენაზე ნაბეჭდი წიგნი ცოტა არის, ეს არ გვაძლევს საფუძველს ჩვენს ენაზე კული აზრის შედგენისათვის. ბი რისთვის: ჯერ ერთი ის, რომ იმ დროიდან დაწყებული, როდესაც მწიგნობრობამ დაიწყო გავრცელება მერობაში, ჩვენი ქვეყნის დასუსტებამდის დიდ ხანს არ გაუვლია და მერმეთ კი იმის თანაგარემოებაში ვიყავით აქამდის და ვართ კიდევაც, რომ წიგნების ბეჭედა და გავრცელება საძინელო საქმე იყო. მეორეთ, დამოუკიდებელათ ამ მიზეზისა, ძველი საზოგადო წესი, მხეტური ცხოვრება, მუშტი-კრივი არ აღედა კაცს ნებას, ფეხ დადგმულათ თან და-თან მწიგნობრობა გავრცელებოდა. ამ შემთხვევაში მრთელს საქართველოს, რომელსაც სრულიად განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს, უფრო უჭირდა სხვაზე. ნიადაგი ხალხების მოძრაობა, ჩხუბი დანგრევა, მგანი, რამე უნდა იყოს ლიტერატურასათვის. ამისთანა პირობებთან ბევრი რამე ძვირფასი დაიკარგება სამუდამოთ შეუნიშვნელათ. მაგრამ მიუხედელათ ამისა, შესაძლო არს მოიპოვოს კიდევ რამოდენიმე ძველი წიგნები.

ამ შენიშვნის დაწერის მიზეზი მოგვცა რამოდენიმე ნახულობა ძველმა წიგნებმა. მხლანდელი ჩვენი ენა და ლიტერატურა რომ დაცემული, ეჭვი არ არის. მაგრამ რადგანაც ნორმალური სწავლის და განათლების მიღებაში, საკუთარი ენა და ლიტერატურა მიუცილებელი საჭირო არის, საჭიროა მივაქციოთ ყურადღება ძველი წიგნების დაბეჭდვას და გავრცელებას, რადგანაც იმათი თითქმის ყოველ ნაირი სწავლა დაწყებული და ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ენით და ტერმინებით. ამისთვის საჭირო არის, ჩვენის აზრით, დაბეჭდილი ქართული წიგნების კატალოგის გამოცემა, რადგანაც არ ვიცით, რა წიგნია დაბეჭდილი და რა არა. ამ მოკლე დროში არის ნახული შამდევი წიგნები ერთის ლექსმული თეადის ოჯახში, რომელს დიდ საუნჯედ ჰქონდა შენახული. ბი სია ამ წიგნებისა: ა) „წიგნი სამზღვართა ღვით უძლეველისა ფილოსოფოსისა“, თარგმნილი ჰარმანულ ენიდან ფილოსოფოსი, შილინი-საგან და ნეკრესის მისკოპოსის დოსითეოსისგან, მეფობის დროს ირაკლისა, ჩინს წესლა. ბ) წიგნი უსათაუროდ, მოთხრობა იუსტინიანეს მეფობის დროისა. იქვე წიგნი „მთაგედია“ მთელი მდიან-ბეგის თეადის ღვით ჩოლოყაშვილისაგან მეფე მარკელს შესაქცევლად, დაწერილი ჩიქუ წესლა; ამისთან სხვა მცირე მოთხრობები იმავე წიგნიში. გ) სათაურით „ესტეტიკებონი განსჯანი“, რუსულით ქართულათ, ნათარგმნი ლენერალ-ლიტენანტისა და სენატორისა მეფის ძის მემკვიდრის ღვითის მიერ, რომელიც ამბობს, რომ გადმოთარგმნილი ამ წიგნის ფრანკულით რუსულათ იყო

ანსილიონ, პრუსიის აკადემიის წევრი და სწავლასა შინა გამოჩენილი მთელსა მერობასა შინა. დ) „პარსა შინა მროკველი ანუ მროკინე“ ზეცას მფრინავი გუნდის სურათით თურთ, ნათარგმნი სომხურიო ტერ-ღვითისაგან მენეციაში ჩიქუ წესლ. ე) ღრამბატკა ზედ წარწერით: ანტონის მიერ არხივისკოპოსისა სრულიად საქართველოსა, დავითიანისა, სიტყვაჲ მეთამდი საქართველოსათა, ტესტამენტი შრომათა თვისთა. ეს წიგნები ხელთ ნაწერი არიანო.

ნ. მ.

22 აგვისტოს.

თბილისის ქალაქში მართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება მცენარეთა ლექსიკონი. ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ შედგენილი თ. რაფ. დ. მრისთავის-მიერ შასი ათი შაური.

ნაფიცი ვეჭილის თანა-შემწე მასილი მიორგის ძე მჩაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვეჭილობას სხვა და სხვა სამართველოებში და უმთავრესად სენატში-აგრეთვე სპრაეკების გაგზავნას. მითუული სპრაეკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი. აღრესი: ვ.ე. Петербургъ, Малая Садовая Домъ № 8, кв. № 24.

წიგნი რედაქტორთან.

ნება მომეცით მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა სახალხო ექიმობაზედ. მთუმცა ამ საგანზედ ლაპარაკი უფრო შესაფერია მედიკურ ჟურნალში, ვინემ საბოლიტიკო (?) გაზეთში, მაგრამ ჯერ ამისთანა ჟურნალი ჩვენ არა გვაქვს...

მე მსურს განვაცხადო საყოველთაოთ რომ ხალხის ექიმობაზედ ყურადღება უნდა იყოს მიქცეული და ეს საქმე არც ისე მცირეა, როგორათაც ბევრს განათლებულ ექიმებს მიაჩნიათ, იქნება

ბევრათ უწინ, სანამდის გაჩნდებოდა ექიმობა, როგორც მეცნიერება, სანამდის დაწესდებოდა ათას გვარი სასწავლებლები და საზოგადოებები, ხალხი თავის გამოცდილებით ირჩენდა მრავალს სწეულებას, ექიმობა ისეთ ავთაყოფობას, რომელიც დღესაც საეჭვო მოსარჩენათ მიაჩნია მედიცინას. ეს გამოცდილებითი ექიმობა, გადადიოდა ერთი შთამომავლობიდან მეორეში და ქვეყანას ყოველთვის ჰყავდა მეურნეობები. რასაკვირველია, ეს თავისებური დოქტორები არ იყენენ ნასწავლი არც მედიკურ აკადემიაში, იმათ არ ჰქონიათ არც მოწმობა, არც დიპლომი, მაგრამ მათი სარგებლობა და გავლენა, მომეცს ნება ამის თქმის, არა ნაკლები გზლებით ეხლანდელ განათლებულ დოქტორებზედ. იმერეთში ყველა კაცმა იცის, რა ნაირადაც არჩენენ ჭრილობას ნასწავლი ექიმება და რანაირად ჩვენი მურმანიძეები. მთუ საჭირო იქნება, შესაძლებელია მოვიყვანო საექიმო მაგალითები, რომელიც გვიმტკიცებს, ჩვენებური ექიმების უპირატესობას ბევრს გვარ შემთხვევაში და სწეულებაში. მაგ, წითელი ქარი, ბუხისილი, საწერელი და ბევრი ისეთი სწეულება, რომელთაც ნასწავლი ექიმები ვერაფერს უხერხებენ, უბრალო სოფლის დედაკაცი კი ერთობ ადვილად არჩენს.

მეორე მაგალითი. აქ ერთ რუსს რაღაც მუშუკი გამოხელოდა ამის წინეთ და ვერც ერთს რუსის ექიმს ვერაფერი გაგებდა. საჭირო იყო თურმე ოპერაცია, მაგრამ ექიმებს ანტონის ცეცხლის გაჩენის შინებოდათ.

მაშინ ეს საქმე იკისრა მურმანიძემ რომელმანაც დაარწმუნა ექიმები მაგალითით, რომ ანტონის ცეცხლი სრულიად სწეული არ არის. მურმანიძემ წაისვა რაღაც წამალი ხელზედ, რომელმაც წასმულს ალაგზედ ანტონის ცეცხლი გააჩინა; შემდეგ მან წაისვა მეორე წამალი, რომელმანც ერთბაშათ გააქრო ანტონის ცეცხლი. მაშინ დოქტორები დარწმუნდენ თურმე, ანტონის ცეცხლის გაქრობა შესაძლებელია და მისცეს ნება მურმანიძეს ავთაყოფის ექიმობისა, რომელმანაც განათავისუფლანის ადგილად. და ამისთანა შემთხვევა ერთობ ხშირი არის იმერეთში.

შსლა ვიკითხავ ერთს: ნუ თუ ეს არა ღირს იმათ, რომ ჩვენმა ნასწაველ ექიმებმა ღირსეული ყურადღება მივაქციონ სახალხო, უდიპლამო ექიმობას და რაც ახალი და გამოსაყენებელია, გამოაცხადონ, გახხადონ საყოველთაო საკუთრებათ, თორემ ეხლა ბევრი წამლობა იკარგება, რადგანაც არ არის დაწერილი და ვინ იცის რამდენიმე წლის შემდეგ ვინმე გერმანიელმა ან ინგლისელმა ახალ რამეთ გამოაცხადოს ის, რაც ჩვენს ხალხს ბევრათ წინეთ სცოდნია. და რომ მეცნიერება, თუ გინდ მედიცინის, ჯერ ერთობ სუსტია და ბევრი შესატყობი გამოსაკვლევი საქმე მოელოს, ამხედ ვგონებ თვითონ ექიმებიც თანახმა არიან.

ჩვენი აზრით საჭიროა, რომ ამ საგანზედ ექიმების კომისია, ან მზავსი რამე ამისთანა საზოგადოება შესდგებოდეს და შეიტყობდეს თითულის ჩვენებებს ექიმობას, მასალებს, — ეს დიდი ღვაწლი იქნება საზოგადოებისთვის. ნამდვილა, ბევრი იმ წამლობათაგანი, რომელსაც ეხლა სოფელში ხმარობენ, სრულიად მანებელი და საძაგელია, მაგრამ მოიპოვება უთუოდ ისეთებიც, რომელიც გადმოსატანი იქნება ახალი მედიცინაშიც და დიდ სარგებლობას აღმოაჩენს სწავლას.

რასაც შაპოზედ, ნინოზედ მეღნიავებ და სხვა გამოჩენილ მეურნეობებზედ, ლაპარაკობენ თუ იმისი ნახევარი ან მესამედიცინა მართალია, მაინც გასაოცარი და საყოველთაო ყურადღების ღირსია უთუოდ. საუბედუროთ ეს შესანიშნავი ექიმი ქალები დღეს აღარ არიან ან ცოცხალნი, და იქნება მათი მშვენიერი ექიმობის ცოდნა, მათი გამოცდილება და ნიჭი სამუდამოთ დაკარგულან ჩვენთვის. მხოლოდ შემთხვევაში საჭიროა გამოკვლევა, მოძებნა და რაც შესაძლებელია და წასაბამებელია გადმოიტანოს ახალმა მედიცინამ.

მე მახსოვს ერთხელ ერთ მედიკურ ჟურნალში სტატია იყო დაბეჭდილი, რომელიც დიდის პატივის-ცემით და გაკვირვებით ამბობდა ინდოეთის და აზიის ხალხების ექიმობაზედ. იქ, რასაკვირველია, ვერობილი ექიმობის არ იციან რა, მარამ ას წელიწადის სიცოცხლე ძალიან ხშირია თურმე იმ ქვეყნებში.

ბევრი საიდუმლოება არის დაფარული ბუნებაში, უთუოდ, და ეს საიდუმლოება რომ ხალხმა შეიტყუოს პირველად და არა რომელიმე გამოქნილმა ექიმმა, იმიტომ რისთვის უნდა იყოს აგდებული და უყურადღებო, საკვირველია!

კიდევ ვიმეორებთ, სასურველია, რომ ჩვენებური ექიმობის გამოკვლევა მალე მოხდარიყოს ახალგაზდა ჩვენი განათლებული ექიმებისაგან. შორიჩილესად ვითხოვ, რომ ეს ლაპარაკი ვინმე ძველი ექიმობის აპოლოგიათ არ ჩამომართვას. მება განურჩევლად, როგორც ყველაფერის ძველისა, აგრეთვე ყველაფრის ახლისა, შეცდამილება, და ეს რომ ხშირათ



არ გვაიწყდებოდეს სხვა საგნების სჯის დროსაც, კარგი იქნებოდა.

მთაისი, 25-ის აგვისტოს.

ახირაპული სიზმარი.

წვიმებმა ერთობ შეგვაწუხა, ზაფხულის ზამთრისაგან გარჩევა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ ტყე და ველი მწვანეა. იქნისი განახერხა და ხეირანი დარი არ გვიჩინავს; ერთს ღამეს მაინც ისეთი ჭუჭუნა წვიმა დაუშვა, რომ უნებურათ დააძინებდა კაცს; ის მესპობა მე ჩონგურის ხმასავით, მივეცი ტკბილს ძილს და აი სიზმარიც: ეიყავი ერთს სახელმწიფოში, ან უკეთ, სამეფოში, რომელშიაც არის მეფე და მეფეთმეფე სცხოვრებენ სამ ნაირი ხალხი: შავი, თეთრი და უთეთრესი; აქ გავიცანი რამოდენიმე ხარისხამდე ამ სამეფოს ჩვეულება, ზნე და კანონი. აქ ბუნებას დაუწესებია თაფლის მოყვარება, ის ყოველი წოდების კაცს უყვარს, მაგრამ კანონათ დიდებულია, შავს წოდებას კაცმა უნდა დასდევას ალთქმა მეფეთ მეფესთან და კანონთან, რომ იმან არ გაცივოს თაფლის გემო; თეთრი წოდების კაცს ერთგვი მხოლოდ შეიძლება თავის სიცოცხლეში თაფლის მოპოება და თუ მის საუბედუროთ მეფეთ მეფემ წართვა \*) მაშინ ის ისრე უნდა დარჩეს სიბერემდე და მერე საფლავს უნდა ეტუმროს, რომ თაფლის გემოს გაცნობის უფლება აღარ აქვს. უთეთრეს კაცს აქვს უფლება თაფლის შეძენისა პირველათ და თუ მეფეთ მეფემ წართვა, მგორეთ და მესამეთაც, შემდგომ კი მშვიდობით! ის ნულარ იფიქრებს თაფლის გემოვნებას, თორემ იმას ისრეთი სასჯელი ელის, რომ უკუნისამდე ვერ გარდურჩება იმას; ამიტომაც მგორე და მესამე წოდების ხალხი ამ სამეფოში ბევრს ქურდობასაც შერბობან, რადგან თაფლს ყოველს დღეს ხედვენ და მისი უწინდელი გაცნობილი გემოც ყოველთვის აურჯოლებს მათ, მაგრამ აქაც ვერ ასცილდებიან ესენი განსაცდელს: თუ თაფლის პატრონმა შეუტყუა მათ ქურდობა, ვაჟ მაშინ მათი ბრალი, ყოველს მათ გემოვნებას დაამწარებს, და მგორეს მხრით კანონიც ძლიერ ემუქრება ამ გვარს ქურდს. პირველი ხარისხის კაცები კი უფრო ასრულებენ კანონს, ვინც მგორეს და მესამეს ხარისხისანი, ამიტომ რომ მათ თაფლის გემო არ იციან და ისრე ტკბილი არ ჰგონიანთ როგორც ის არის. ამ თეთრს და უთეთრეს კაცებთან აბა ვინ იყო ისეთი გამბედავი, რომ კანონისათვის ეთქვა: ეს აღკრძალვა ბუნების წინააღმდეგია და ამ აღკრძალვით უმეტესი კანონის დარღვევა ხდება ხალხს ქურდობა. აი ერთმა მათგანმა, გამოსრულმა მოთმინებისაგან გაბედა და საქვეყნოთ გამოაცხადა შემდგომი თავის ჰაზრი: ღმერთმა შექმნა ცა და ქვეყანა და რაც არის იმათში, ამებს შეუქმნა მფლობელათ გონიერი არსება—კაცი, დაადგინა თავის ქმნილების მეფეთ და უთხრა: ჰფლობდე და სარგებლობდე ყოველის ჩემის ქმნილები-საგანო, შემდგომ ვინმე კაცთაგანმა, რომელსაც ჰქონდა ხალხში დიდი გავლენა, სთქვა, რომ ყოველის-ფრისაგან არ უნდა სარგებლობდეს კაციო, იმას თაფლის შეძენის უფლება ყოველთვის ჰქონდა აქვსო და ვინც ამას გარდახდება იმას მოვლის დაუბოლო

ებელი სასჯელიო. ამ სახელმწიფოში ამ კაცის სიტყვა ისრე დამტკიცდა, რომ მთები ქალებთ გავედებინა და ეს სიტყვები კი არ შეიცვლება. ნუ თუ თაფლის შეძენა ყოველთვის კეთილ-ნებრით არ სჯობია იმას, რომ ის კაცმა მოიპაროს? რამდენი სჯულის წინააღმდეგი საქმეები წდება ამ ქურდობით ამ სამეფოში; მაგ. ერთი კაცი რომელმაც დაჰკარგა თაფლის შეძენის უფლება, რომელსაც მგორეთ შეძენაზედ კანონის ემინა, იმას უნებურათ ქურდობა უნდა და თუ ქურდობა ჰქონდა, მაშინ, რასაკვირველია, შიშით კანკალებს და იმ ქურდობის დროს კაცის ცეცხლს შუა იტანჯვის საცოდავი; რამდენი პირის წკლახუნია აქვს, როცა თაფლს დაინახავს, მაგრამ ვინ გააცნობებს მის გემოს; იქნება ათასში ერთმა თაფლის პატრონმა შეიკრძალა ეს საწყალი და უთხრას, მოდი ერთი ჩემი თაფლი სჭამეო, მაგრამ იმას მაინც კი ემინა კანონის. ზოგს თუმცა დაკარგული აქვს თაფლის შეძენის უფლება, მაგრამ გაცნობებულმა და ვეფხვივით გაცოფებულმა თუ კი სადმე მოახვლო თაფლის შოვნა, მაშინ ის კანონს არ დასდევს, მაშინვე ეძვრება, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ის და დიდს კმაყოფილებით გამოძღვება; წადი ენლა და სდიე, იქნება ვერცარაინ კი გაიგოს, ეს მისი ქურდობა და თუ ვინმე შეიტყუა აი რას ეტყვის: მე ბუნებამ საქმელათ თაფლი განმიწესაო და რადგან ჩემის საკუთრებით შეძენას კანონი მიკრძალავს, და ბუნებას ვერა ესძლიე, მართლა მოვიპარეო და თუ შეიძლება, უბურთ ვინმემ გასძლოს, როცა მოშივდება, მეც ხელს ავიღებ თაფლის ქურდობაზედა, რადგან როგორც პურს, ისრე თაფლს ბუნება ითხოვს, ურომლოთაც კაცი ვერ იცხოვრებს და თუ მოითმინა, მაშინ ის იტანჯება და ბოლოს ეს ტანჯვა საფლავამდე მიიყვანს. ეს სთქვა იმ კაცმა და კიდევაც გამოძღვებია. წვიმა კიდევ უკაკუნებდა სახლის სახურავს; მე ძლიერ გაკვირებული ვიწვი კიდევ ცლოვინში, თუმცა დღეს ღამის ფარდა კიდევაც გარდაეხდა; ვფიქრობდი, რა უნდა მოასწორო ჩემს სიზმარმა მეთქი, ესე იგი: რას ნიშნავს: მეფეთ მეფე, მეფე, სამწიფო ხალხი, თაფლი და ან ისეთი ფიცხელი კანონი, რომ კაცს თაფლის ჰმა ყოველთვის არ შეეძლოს. აქამდინ ეს დამჩა აუსხნელი, ენლა კი მკითხველს მივანდობ მისს ახსნას, რადგან მათგანი ბევრი გონიერი და კარგათ ახსნის.

რაჰველი.

9 აგვისტოს 1874 წელს

საპირველი ხმინი.

აგერ მომავალ ენკენის თევში უნდა მოხდეს მთლიანის მოქალაქეების ყრილობა და კენჭის ყრა. მოუთმენელად მოველი ამ კენჭის ყრის დაბოლოებას. მეშინიან, რომ ზოგიერთი ეხლანდელი ხმოვანის მსგავსი კაცები არ ავირჩიოთ ჩვენ, საზოგადო საქმეებში მუდამ დაუდევრებმა. რათ გვიდა, ბატონო, იმგვარი ხმინი, რომელსაც არ ვსმის თავის ვალდებულება, არ იცის თუ რისთვის არჩევენ იმას ხალხი, ანუ რას მოვლის მისგან საზოგადოება. ამას წინეთ ერთმა ხმინმა მაჩვენა დასაბატყვებელი ქალაქი და მთამბო, ხვალ დაბარებული ვარ საზოგადოების სასარგებლო ყრილობაში, და ჩემ საკუთარს საქმეს თავი უნდა დაეანებოყო, დალონებით შეუბნებოდა.

\*) აქ მეფეთ მეფე ვის თაფლსაც იხებებს რომ თავის სამეფოში წილოს, იასაულებს გაუსვს თაფლის პატრონს და წარამევენ.

მე ეუთხარ, მუდამ დაბანდებით ყრილობაში?

— შენმა მზემ, ერთხელაც არ დაჰკლებიარ.

— შერე რას არიგებო?

— წავალ, ჩემ ალაგას დაეჯდები, დიდ-კაცები ლაპარაკობენ და მე ყურს ეუბდები.

— მაშ შენ სულ არას ამბობ?

— მა, რა უნდა ეთქო, ჩემზედ უფრო დიდ-რონები არა სხედან? და ორ და სამ მენდლიანებს რომ კინტი ვერ ამოუღიათ, მე რა უნდა ეთქვა.

— მაშ თქვენი იქ ყოფნა იმას ნიშნავს, რომ მეც პაპუნა ბეგოეო, ანუ აღრე იტყოდნენ, მაშუდლი ბალი ვარ.

— მა რაქნა, რომ მარჩევენ, არ წაიდე?

— წადი ილაპარაკე და შენი აზრიც გამოთქვი. პირზედ ხელს ხომ არ დაგფარებენ, ხომ იცი, რომ ნება გაქვს ლაპარაკისა? მთ არაფრის ჰქვა არ გიჭრის და მოკლე აზრი გაქვს, რჩევის დროს გამოუცხადე საზოგადოებას, რომ ხმინად ყოფნა არ შეგიძლიან, სხვას აარჩევენ შენს მაგიერათ. მაღლობა ღმერთსა, ენლა ჩვენში ახალგაზდა ნა-სწავლი კაცები ბევრი მოიპოვება, რომლებსაც ესმისთ ვალდებულება და თავისი ღირსებაც. შენისთანა კაცების ასპარეზი კი ყაფაზედ ჯდობა არის.

— შენმა მზემ მართალს მეგებნებო, მითხრა გულწრფელმა ხმინამა და გამშორდა.

მოქალაქე.

მთილისი, 25 აგვისტოს.

რუსეთი

— ამ ჟამად შირიმის თათრები მსხალეთისკენ მიემგზავრებიან დასახლებლად. ისინი შეაშინა ახალმა სამხედრო კანონმა, რომლის ძალით იმათანაც სალდათი უნდა გამოეყვანათ. ამას წინეთაც დაპირეს მსხალეთში გადასახლება და ზოგიერთი კიდევ გაეიდა თავის სამშობლოდამ, მაგრამ ნოვოროსისსი გუბერნატორის რჩევით უმრავლესობამ დარჩენა აშჯობინა. მსლა როგორც „მდენის მოამბე“ გეცნობებს, თათრებს ხელახლა გადასახლება გარდაუწყვეტიათ. ამბობენ, რომ ეს იმათი მოლოდინის ბრალიაო, რომელნიც მათ მსხალეთში წასვლას ეჩინებინათ და იმ ოსმალელი თათრებისა, რომელნიც უთილუკებით ძლიერ მრავალნი დადიან შირიმის კიდ-კიდე, თითქო ზღვის ღორების საქვრად და რომელთაც ყირიმლები ასობით გვწყაეთ მსხალეთშიო. ამ გარდასახლების მოსასპობად აღმინისტრაცია არაერთარს საფუძვლიანს საშუალებას არ ხმარობსო; მართალია ნაპირის დარაჯებს ბრძანება აქვთ, რომ მიმავალი თათრები არ გაუშვან საზღვარს გარეთ, მაგრამ ერთი დარი უხვირო თოფებით დაიარაღებული სალდათი რას იზამს. იმათ არ შეუძლიანთ, რომ ორმოცდა ათი და ასი თათარი შეაჩერონ. სალამობით სალთას აგზავნიან, რომ ზღვის ნაპირ ნაპირ იაროს და თუ მიმავალი თათრები დაინახა შეაჩეროს. სალდათი ბრძანების მორჩილია, მაგრამ რაკი მრავალს თათრს დაინახავს, დანებით, ქვეებით და კეტებით შეჭურვილს, ბუჩქებში იმალება და თათრები დაუბრკოლებლად მიდიან საზღვარს გარეთ.

— რადგანაც რუსეთში მდებლეს ძალიან ცოტა საცხოვრებელი საშუალება აქვსო,

ამიტომ ისინი თავის სამწყსოსაგან სასიკეთისო წესების შესრულებისათვის სასიკეთისო თოფებენ და ამით თავის დროსადაც ამკარებენ და ხალხსაც აწუხებენო. ეს გარემოება მხედველობაში მიუღიათ ზოგიერთის რუსეთის გუბერნიის ერობას და სტდილობენ, რომ მდებლეს ან თვითონ ერობამ მისცეს საკმაო სარჩო, ან და სთხოვონ მმართველობას, რომ იმან ჯამაგერი მიუმატოს და გარდასახადი საეკლესიო წესების ასრულებისათვის მოისპას. ჩვენი სასულიერო მთავრობაც რომ იშუამდგომლებდეს მმართველობასთან, და მდებლეს ხაზინიდან საყოფი ჯამაგერი მიეცემოდეს, სწორეთ დიდი შალავათი მიეცემა ჩვენს გლეხობას და მდებლეს იძულებული არ იქნებიან, რომ კაცთ-მოყვარეობის მაგიერ ვაჭრულს ან გარიშს გაჰყვენენ.

— რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში ერთი უგუნური ხმა დაუგდიათ, რომ გოგოები უნდა შეკრიბონ და ინგლისში გაგზავნონო. ასკოვის გუბერნიაში ამ ხმას ცოტათი სხვა მიმართულება მისცემია ერთი სასმელების გამოიდველის მედუქნის წყალობით. აქ ხმა დავარდნილა, რომ ხუთი ათასი გოგო შავს ზღვას იქით უნდა გაგზავნონო. შავ ზღვაში ერთი წითელი ხომალდი სდგას, ის ხომალდი ამ გოგოებს წაიყვანს და იმათ მაგიერ რუსეთში იმდენსავე შავს არაბებს მოიყვანსო. ჩვენებურს გოგოებს არაბეთში დაასახლებენ და შავს არაბებს მიათხოვენენო. ამის გამგონე სოფლები ძლიერ შეშინდნენ, მაშინვე თავის ქალების გათხოვებას შეუდგნენ და ვინც კი უმწველი ბიჭები შეხვდათ იმათ შერთეს ცოლებათ. ამ ხმის გავრცელებას ერთს წითელის მეღნით და წერილს ბართს აბრალებდენ, რომლის დაწერა მედუქნის იაკოვლევს შეწამეს. გამოძიება დაიწინა და იაკოვლევს გატყუა, რომ ის წიგნი მე დაუწერეო, რადგანაც წინეთ დედაბრებისაგან გაგონილი მქონდა გოგოებისა და არაბების ამბავი, მიწოდდა, რომ ისინი სასაცილოდ გამეხადაო. მე ის წიგნი სააღდგომო კვერცხის საღებავით დაწერე და სრულიად არ მეგონა, თუ ამ ხუმრობისაგან ამისთანა აღიქმათი ატყდებოდაო. მომრიგებელს მოსამართლეს დაუნახავს, რომ ეს ხუმრობა იმ იმედით ჩაუდენია იაკოვლევს, რომ ქორწილის განშორებით ბევრი სასმელები გაესაღებია და ამიტომ განუჩინა იმას 50 მანეთის ჯარიმა, ან 15 დღის დატუსაღება.

— წარსულისთვის 26 პეტერბურღში მომრიგებელს მსაჯულს ტიმირიაზევის განუხილავს საქმე უფ. ბელლერისა, რომელსაც აბრალებდნენ პეტერბურღელის მოვანხმის გაღებისკის გაღახვას. სამსაჯულოში გმობინდა, რომ უფ. ბალებსკის მიუტია უფ. ბელლერისათვის სესხად ზუთი ათასი მანეთი და ამ ვალში აუღია ოცდა ათი ათას მანეთამდის. ამ ვალის გასტუმრების შემდეგ ბელლერმა ბალებსკისთან ნაცნობობის გაწყვეტა მოინდომა თუჩმე და წიგნით სთხოვა მას, თუ სადმე შეეხვედეთ ერთმანერთს, თავი არ დამიკრათ, თორემ ახირებულნი საქმე მოხდება ჩვენს შორისო. ბალებსკიმ პატივს დებაში არ მიიღო თურმე ბელლერის თხოვნა. ის სალდაც შეხვედრია ბელლერს და თავი დაუკრავს. ბელლერს თავისი სიტყვა აუსრულებია და ჯოხით უტია ბალებსკი. მომრიგებელმა მსაჯულმა ბელლერი გამართლა



და ყოველივე პასუხის გებისაგან განათავი-  
სულა. ჩვენში რომ სესხის ამღებ-მიმცემებს  
შორის ამ გვარი ჩვეულება ყოფილიყო, რა-  
მდენი ტყაბა-ტყუბი ატყდებოდა, ვინ იცის!

# უსხო ქვეყნები

## საზრუნავთი.

— შრანცუხული ვაზეთი „მეცხრამეტე  
საუკუნე“ ამბობს: „მარშალი მაკ-მაჰონი სა-  
ფრანგეთში წესიერების დაცვის თავდებათ  
გვიდგება, მაგრამ თვითონ მარშალის მაკ-  
მაჰონის წესიერების თავდები ვინ გავიხ-  
დებოა.“

— მაკ-მაჰონი საფრანგეთის პროვინცი-  
ებში მოგზაურობის დროს უნდა დარწმუნე-  
ბულიყო, სწორედ ვაზეთებში, რომ სა-  
ფრანგეთის ხალხს მოსძულდა სხვა და სხვა  
მეფეების ხელში ყოფნა და უსარგებლოდ  
სისხლის ღვრა. მარშალს ხალხმა ყოველგან  
რესპუბლიკური გრძობა გამოუცხადა.

— ერთმა მარშალის მაკ-მაჰონის მსლე-  
ბელმა გენერალმა შეპყვირა თურმე ერთს  
ვილაცა მუშას, როდესაც ეს ხმა მალა უძა-  
ხობა პრეზიდენტს: „გაუმარჯოს რესპუბ-  
ლიკას!“ რა გაყვირებს შე ვირო! მუშამ  
უპასუხა მსწრაფლად: თითონ თქვენ ბრძან-  
დებით ვირო. გენერალმა უფრო განიე-  
რა დაინახა, რომ ეს უსიამოვნო შემთხვე-  
ვა გადაფუჭიწებია, მაგრამ იქ მყოფთ სიცი-  
ლი წასქდომიათ.

— ამბობენ, რომ ბაზენის გაქცევის ბრა-  
ლი იყო, რომ ქალაქის ბონაპარტის  
მომხრე აღურჩევიათ ნაციონალურის კრების  
დებუტატთ. ბაზენის გაქცევამ დაარწმუნ-  
და სულელი ხალხი, რომ იმპერია ხელ-ახ-  
ლავ მალე დაუბრუნდება და ამიტომ გა-  
უშაგებია ბონაპარტის მომხრე დებუტატის  
მოწინააღმდეგე კანდიდატები. მეორე მიზე-  
ზათ კიდევ იმასა სთვლიან, რომ უფ. ბრო-  
ლის წყალობით პროვინციებში ეხლა ყველა  
ადგილები ბონაპარტის მომხრეთ ხელშია და  
ისინი სარგებლობენ თავის მდგომარეობით,  
რომ სოფელ ხალხზე გავლენა იქონიონ.

## ოსმალეთი

— სტამბოლიდან იწყებებიან, რომ ხონ-  
თქრის მმართველობა ძლიერ დიდს სამხედრო  
მზადებაშია, ჯარები ალბანიაში და ბოლ-  
გარიაში თანდისთან ემატება, თუმცა მმარ-  
თებლობის ვაზეთები ამას არა თუ არ აცხა-  
დებენ, ჰფარვენ კიდევ. მერობელი დიპ-  
ლომატები ფიქრობენ, რომ ამ ჯარების მო-

ძრობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ხონ-  
თქრის სატახტო მემკვიდრეობის შეცვლა სურს  
და თუ ვინცაა იმპერის რომელიმე ნა-  
წილმა უკმაყოფილობა გამოაცხადა და აღ-  
რეულობა მოახდინა, ან ოსმალეთის ქვეშე-  
ვრდობა რომელიმე სამთავრომ მემკვიდ-  
რეობის შეცვლის გამო, მმართველობას გა-  
წუდგა, მაშინ ოსმალეთი ჯარებით ურჩ  
ქვეშევრდომებს დაამშვიდებს.

ოსმალეთში, ხონთქრის ტახტი ყოველ-  
თვის სამეფო გვარში უფროსის არის.  
მხლანდელი ხონთქრის აბდულ-აზიზის შემ-  
დეგ ამ კანონით იმისი ძმის აბდულ-მეფი-  
დის შვილი უნდა გახდეს ხონთქრად, აბ-  
დულ-აზიზს კი ის უნდა თურმე რომ მემ-  
კვიდრეობა თავის შვილს გარდასცეს.

ოსმალეთის მმართველობას შეუძლიან,  
რასაკვირველია, რომ ურჩი ქვეშევრდომები-  
სათვის ჯარები საომარ მდგომარეობაში მო-  
იყვანოს, მაგრამ საქმე ის არის, დათანხმე-  
ბიან მემკვიდრეობის შეცვლაზედ მერობის  
უპირველესი სახელმწიფოები თუ არა. ამას  
გარდა, შეიძლება ოსმალეთის ქვეშევრდომ-  
მა სამთავროებმა ყველამ უარი სთქვან, ახ-  
ლი მემკვიდრეობითი კანონი არ იცნონ და  
დაუმოკიდებლობა გამოაცხადონ. ეს მეტად-  
რე იმიტომ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ  
ამ შემთხვევაში სამთავროების და იმათი  
მფარველი სახელმწიფოების აზრს შორის  
თანხმობა იქნება.

## ამერიკა

— ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში  
ეხლა პრეზიდენტის ამოსარჩევს კენჭის ყრას  
ემზადებიან. შეელო იმ აზრის არის ამერიკა-  
ში, რომ გრანტს აღარ ამოირჩევენ პრეზი-  
დენტად, რადგანაც ეს მესამეთ იქნება იმი-  
სი ამოირჩევა და შტატებში ისეთი ჩვეულებ-  
ბა რესპუბლიკის დაარსებდგანვე, რომ მე-  
სამეთ ერთი და იმავე კაცის პრეზიდენტო-  
ბა არ შეიძლება. ამას გარდა პენსილვანიის  
შტატს, რომლის აზრში კენჭის ყრის დროს  
ხშირად მთელი შტატების აზრის მიმართუ-  
ლება გამოსჭირს, საპრეზიდენტო კანდიდა-  
ტად ბერტრენდტი დაუნიშნავს.

## ნარევი

— შექსპირს ეხლა ესპანიურ ენაზედ  
სთარგმნიან და ამბობენ, რომ ეს პირველად  
არის. ჩვენ არა ვართ ესპანიური ლიტერა-  
ტურის მცოდნე და დარწმუნებით არ შე-  
გვიძლიან ესთქვათ, ჰქონდათ ესპანიელებს

აქამდის შექსპირის თარგმანი, თუ არა. მაგ-  
რამ, თუ ეს ამბავი ტყუილი არ არის, ჩვენ  
ქართველები ცოტათი უთუოდ უნდა ავიღო-  
დეთ ჩვენს საკუთარ თვალში, რადგანაც  
ესპანიელებისათვის დაგვისწრია და რამდენ-  
იმე შექსპირის თხზულება მშვენიერად გარდ-  
მოგვიღია ქართულს ენაზედ.

— პარიზის პუბლიკური ბიბლიოთეკის  
დირექტორს სახალხო განათლების მინისტ-  
რისთვის წარუდგენია წარსული წლის ანგა-  
რიში, რომლისაგანაც სჩანს, რომ ამ ბიბ-  
ლიოთეკაში ეხლა ორი მილიონი და სამოც-  
და თერამეტი ათასი ტომი დაბეჭდილი წიგ-  
ნი ყოფილა. ამ უთვალავ წიგნებში საფრან-  
გეთის ისტორია ისეთს დიდ-ნაწილს შეად-  
გენს თურმე, რომ იმისი კატალოგი, ანუ  
წიგნთა-სიები ათი ტომია და ეხლა მეთერთ-  
მეტე იბეჭდება, რომელშიაც შეტანილი იქ-  
ნება ახალი ისტორია 1798-დან 1830 მდამ.

— მხლანდელს ცეილონის კუნძულის  
(ინგლისის საკუთარს ინდოეთშია) ბუბერ-  
ნატორს განუხანებია ძანდის ძველი სამე-  
ფო სასახლე, რომელიც საუკეთესო სახო-  
ვარია თურმე ძველი ინდოეთის არქიტექტუ-  
რისა. საკვირველი არ არის, რომ ჩვენში  
სასახლების კი არა, ძველი საყდრების განა-  
ლებას არაეინ ჰფიქრობს! მაგრამ განახლებას  
ვინ დაეძებს, ნეტავი თითოეული ჩვენგანი  
არ ჰფიქრობდეს იმის დანგრევას და განა-  
დგურებას, რაც ძველი ცხოვრების ძვირფასი  
სახსოვარია!

— შენასკენელმა მცხოვრებთ აღწერამ  
საკუთრად ინგლისში და უელსის სამთავრო-  
ში გამოაჩინა, რომ ოცდა სამი მილიონ  
მცხოვრებისაგან ცამეტ მილიონ ნახევარი  
უცოლ-ქრმო არის, აქედამ ნახევარი ქალია  
და ნახევარი კაცი. მაგრამ ეს უნდა დავამ-  
ტოთ, რომ ამ ცამეტ მილიონ ნახევარი-  
საგან რეა მილიონი ჯერ კიდევ თხოუმე-  
ტის წლის არ არის.

— საშუალო გამოანგარიშებით აი რამდენი  
წლის სიცოცხლე აქვს სხვა და სხვა წოდე-  
ბის და საქმის კაცს: სასულიერო პირებს 65  
წ. ვაჭრებს 62, მეცნიერებსა და მხენელ-  
მთესველებს 61, სამხედრო კაცებს 59, კანონთ  
მეცნიერებს 58, მხატვრებს, 57, ექიმებს 56.  
რუსეთში კაცი ცოცხლობს საშუალო რიც-  
ხით 21 წელს, პრუსიაში 29 წ., შვეიცა-  
რიაში 34, საფრანგეთში 35, ბელგიაში 36,  
და ინგლისში 38.

— მითი ამერიკელი ვაზეთი გეაცნო-  
ბებს, რომ ამერიკაში ერთს რეინს-გაზენდ  
„საგაზეთო“ ცეცხლის-ეტლს 57 მილი გა-  
ურბენია 59 წამის განმსაღობაში და ქრის  
ალაგს ამ გზაზედ ისეთის სიჩქარით გაქანე-  
ბულა, რომ სამ ნახევარს წამს ხუთი მილი  
გაუვლია. ამერიკული ანუ ინგლისური მი-  
ლი ერთ ვერსტ ნახევარია, ასე რომ „საგა-  
ზეთო“ ცეცხლის-ეტლს საათში თითქმის ას-  
ვერსი გაურბენია. ჰგენებია შოთი-მთელი-  
სის რეინის გზის ტარებას! მაგრამ ღმერთმა  
ნუ ქნას, რომ შოთი-მთელი-სის გზას ამნაი  
ირის სიჩქარით ეტარებინოს, თორემ ერთ-  
სულიერი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, განი  
საკუთრებით სურამის მთებში.

— ჩინეთის სატახტო ქალაქში ერთად  
ერთი ვაზეთი ყოფილა და იმასაც მმართვე-  
ლობა სცემს თურმე. საძაგელის სტამბით  
და საძაგელს ქალაქზედ იბეჭდება თურმე  
ეს ვაზეთი.

— მომავლის წლიდამ ბერლინის ქალაქ-  
ში უნდა შემოიღონ ტაქტია ექიმებისათვის  
დაწესებული, თუ რამდენი უნდა მიეცეს ექიმს  
პირველად ავთმყოფის ნახვისათვის და რამდენ-  
ნი შემდეგ. მაღაძღები-სწეულების ექიმო-  
ბისათვის ორი იმდენი სასყიდელია დანიშნუ-  
ლი, რაც სხვა უბრალო ავთმყოფების ექიმო-  
ბისათვის. ქარგი იქნებოდა, რომ ჩვენშიაც  
დანიშნული იყოს ტაქტია, ამითი ავთმყო-  
ფების ოჯახი და თვითონ ექიმებიც ბევრს  
უსიამოვნობას ასცილდებოდნენ. მაგრამ ვაი  
თუ მაშინ ექიმებს უბრალო ავთმყოფოვაც  
გადაძღებ სენად გაეხადათ, და ბევრს ავთ-  
მყოფს მოარჩენის იმედი მოჰკლებოდა და  
შიში მომატებოდა!

— მონტევიდოს ქალაქში (სამხრეთის  
ამერიკაში) მცხოვრებ იტალიელებს ერთ  
მეიდანზედ მაძინია ძველის აღმართვა განუ-  
ზრახავთ. შული ბლომათ შეუკრფეთათ და  
ერთის მოქანდაკისათვის მიუნიდეთ ვეება  
სტატუსს გაცემება. საკვირველი როგორ არ  
არის, რომ ზოგი უცხო ქვეყანაში უღვამს  
ძველს თავის მამულის წარჩინებულს შეი-  
ლებს, ზოგი კი თავის მამულშიაც არაფერს  
ჰფიქრობს ამ საქმეზედ!

— მთი ინგლისელი ქალი დანიძლავე-  
ბულა, რომ ორმოცდა ორს დღეს ათას  
ექვსას ვერსტს გაევილიო ქვეითად და კი-  
დეც მოუგია ნიძლავი.

— ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში სა-  
მსაჯულოს ერთი შესანიშნავი განჩინება შე-  
უდგენია: ერთმა ვაჭარმა მოითხოვა ტელე-  
გრაფით 10,000 ბუშელი სიმინდი დანიშ-  
ნულს დროზედ. ტელეგრაფის შეცდომის  
გამო იმან მიიღო მარტო 1000 ბუშელი და  
ამის გამო წაგო 900 დოლლარი. თუმ-  
ცა ტელეგრაფის კეიტანებზედ კი სწორია,  
რომ ტელეგრაფის კომპანია დეპეშების შე-  
ცდომისათვის პასუხს არ აგებს, მაგრამ სა-  
მსაჯულომ განაჩინა, რომ ამ გვარს პირო-  
ბებს ძალა არა აქვსო და ტელეგრაფის კომ-  
პანიას ვაჭრის ზარალი აზღვევინა. ამ განა-  
ჩენს თუ მიეყვებით, სასურველი უნდა იყოს,  
რომ არა თუ დეპეშების შეცდომისა და და-  
კარგისათვის, დეპეშების დაგვიანებისათვისაც  
პასუხს უნდა აგებდეს ტელეგრაფის კომპა-  
ნია. აგრეთვე ფიქრაც პასუხის შეცდომი  
უნდა იყოს წიგნების დაგვიანებისა და და-  
კარგისათვის, რადგანაც წიგნები ხშირად  
ძვირფასი აზრებისა და გრძობების მატარე-  
ბელი არიან. მაგრამ ვინ იცის, იქნება ჩვენს  
ვაჭრულს საუკუნეს მარტო ფუთებისა და  
დოლარების ანგარიში სურს და სხვას კი  
არაფერად სთვლის.

|  |                |                    |                |
|--|----------------|--------------------|----------------|
| სუთის თვის ანგარიში  |                | სულ 4,678 ა. 30 კ. |                |
| 1.) წყითაგან შემთანილი საწილი                                    |                | 2.) მასალა         |                |
| ფული . . . . .   | 1,452 ა. კ.    | ფული . . . . .     | 3,705 ა.       |
| სესხი, რომელიც ამხანაგობამ                                       | 1500 ა.        | ფული . . . . .     | 150 ა.         |
| აილი დამუშავებულთაგან . . . . .                                  | 1470 ა.        | ფული . . . . .     | 40 ა.          |
| ამხანაგობამ იესხსა ტფილისის                                      | 1470 ა.        | ფული . . . . .     | 4,678 ა. 30 კ. |
| საუთიფო ნდობის საზოგადო-<br>ებისაგან და კეხო პირობაგან . . . . . | 1470 ა.        | ფული . . . . .     |                |
| სასარგებლოდ შეტანილი კერძი                                       | 40 ა.          | ფული . . . . .     |                |
| პარისაგან . . . . .  |                | ფული . . . . .     |                |
| სულ შემოსულა   | 4,678 ა. 30 კ. | ფული . . . . .     |                |
| 2.) მასალა   |                | სულ 4,128 ა. 23 კ. |                |
| 1.) მასალა   | 3,705 ა.       | ფული . . . . .     | 550 ა. 7 კ.    |
| ფული . . . . .   | 150 ა.         | ფული . . . . .     | 4,128 ა. 23 კ. |
| ფული . . . . .   | 150 ა.         | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 21 ა. 23 კ.    | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 252 ა.         | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 4,128 ა. 23 კ. | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 100 ა.         | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 17 ა. 20 კ.    | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 2 ა. 65 კ.     | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 430 ა. 22 კ.   | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 550 ა. 7 კ.    | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 4,128 ა. 23 კ. | ფული . . . . .     |                |
| ფული . . . . .   | 4,678 ა. 30 კ. | ფული . . . . .     |                |